შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„რულერ“

ს/კ 426112949

მის: ქ.ბორჯომი მესხეთის N34

ტელ: 599 55-93-75

ქ.ბორჯომი N1

20 იანვარი 2021 წელი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

სკრინინგის განცხადება

გაცნობებთ, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "რულერ"-ი (მისამართი: საქართველო, ქ. ბორჯომი, მესხეთის ქ., № 34), გეგმავს ავტოგასამართი სადგურის მოწყობას ქალაქ ბორჯომში, შოთა რუსთაველის ქუჩა №20რ, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია **64.23.02.961** (GPS კოორდინატში X=366092.00; Y=4633520.00).

ავტოგასამართი სადგური გათვალისწინებულია ბენზინისა და დიზელის საწვავის მომხმარებელზე რეალიზაციისათვის, რომლის წლიური მაქსიმალური ჯამური რაოდენობა მოსალოდნელია 1233.7 $მ^3$ ოდენობით (912.5 ტ/წელ).

სადგურის მომსახურება მოხდება 2 საწვავი რეზერვუარიდან, თითო 25 $მ^3$, რომლებიც განთავსდება მიწის ქვეშ საკორფაგში ზომებით:. 7.5 მ x 6.5 მ, საიდანაც ბენზინისათვის განკუთვნილი რეზერვუარი ორ ნაწილად იქნება დაყოფილი: 17 და 8 $მ^3$ მოცულობებად, ასევე დიზელის საწვავისათვის განკუთვნილი რეზერვუარიც ორ ნაწილად იქნება დაყოფილი: 18 და 8 $მ^3$ მოცულობებად;

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად ავტოგასამართი სადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით,

№ 770
"26" 01 2021
2/16 ფ.

რომელიც ამავე კოდექსის მე-2 დანართის 6.3 პუნქტის თანახმად (ნავთობისა და ნავთობპროდუქტის, ნავთობქიმიური ან/და ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია) ექვემდებარება სკრინინგის პროცედურების გავლას, წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი: 1. სკრინინგის ანგარიში

დირექტორი ნიკოლოზ მეტრეველი